

ილია - ევროპელი

5 დეკემბერს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი გიწვევთ გამოფენაზე „ილია - ევროპელი".

2017 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 და გარდაცვალებიდან 110 წლის იუბილეა. შესაბამისად, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სადაც დაცულია ილიას პირადი არქივი გეგმავს მასშტაბური საგამოფენო-საგანმანათლებლო პროექტით აღნიშნოს ეს ორმაგი თარიღი.

გამოფენაზე საზოგადოების წინაშე წარდგება ილიას მიმოწერა ევროპელ მეგობრებთან: მარჯორი და ოლივერ უორდროპები, არტურ ლაისი, ბარონი დე ბაი, ცნობილი ქართველოლოგი ჰუგო შუჰარდტი და სხვები. ასევე, ილიას ჩანაწერები ევროპის ქვეყნებზე, პირადი წერილები და უბის წიგნაკების ჩანაწერები, სადაც ჩანს: მისი შეფასებები ევროპაში მიმდინარე თანამედროვე თუ ისტორიულ პროცესებთან დაკავშირებით, მისი პორტრეტი, როგორც ევოპული ყაიდის მოაზროვნისა.

გამოფენის გახსნაზე ფილოლოგი ლევან ბერძენიშვილი წაიკითხავს ლექციას „მთავარი ევროპელი".

საგანმანათლებლო აქტივობა „ეკამათე ილიას" - გამოფენის ფარგლებში დაგეგმილია ინტერაქტიული კონკურსი სკოლის მოსწავლეთათვის (სკოლის საბაზო და საშუაო საფეხურის მოსწავლეებისათვის). 19-23 დეკემბერს პროექტი ფოტოგამოფენის სახით გადაინაცვლებს ქ. ყვარელში. ფოტოგამოფენას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერით.